

საქართველოს კულტურის სტრატეგიის სამუშაო ვერსიის განხილვა

რეგიონული შეხვედრების მე-2 ეტაპი

2016 წელს განხორციელებული რეგიონული შეხვედრების შემაჯამებელი ოქმი

სულ რეგიონული შეხვედრების მე-2 ეტაპზე ჩატარდა 12 შეხვედრა
მთლიანობაში შეხვედრებს დაესწრო - 1225 ადამიანი

კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის საჯარო განხილვებზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი - მიხეილ გიორგაძე წარდგინდა დოკუმენტს და შეხვედრის მონაწილეებს აცნობდა ინფორმაციას სტრატეგიის შემუშავების პროცესის თაობაზე. მინისტრი ხაზს უსვამდა პროცესის უნიკალურობას, მის ღიაობას, გამჭვირვალობასა და მასში საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას.

მინისტრის მოადგილე - ლევან ხარატიშვილი დამსწრე საზოგადოებას აწვდიდა ინფორმაციას დოკუმენტში ასახული ძირითადი მიზნებისა და პრიორიტეტების შესახებ. განმარტავდა დოკუმენტის სტრუქტურას.

3 თებერვალი - აფხაზეთის ა/რ, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია

- აღინიშნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის საკითხების გაძლიერების მნიშვნელობა;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე, როლანდ ნიჟარაძე გამოვიდა ინიციატივით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაემატოს საგანი - კულტურის ისტორია და შემუშავდეს შესაბამისი სახელმძღვანელო.

5 თებერვალი - ბოლნისი (ქვემო ქართლი)

- კვალიფიციური კადრების დანიშვნა მმართველ სტრუქტურებში;

- ბიუჯეტის დაგეგმვის დროს, ადგილობრივი ხელისუფლების შეხვედრაზე, კულტურაზე პასუხისმგებელი პირის დასწრება;
- თვალსაჩინოების, მინიშნების დაფების განთავსება კულტურულ ღირშესანიშნაობებთან;
- ურბანიზაციას ეწინააღმდეგება მხატვრული ელემენტები (პანოების, ძეგლების, მემორიალების შენარჩუნება ქალაქგანვითარების გეგმებში);
- მხარეთმცოდნეობის საგნის შემოღება სასკოლო განათლებაში, რაც ხელს შეუწყობს უმცირესობების ინტეგრაციას;
- ბოლნისში თეატრის შენობის აგება და საკონცერტო დარბაზის მშენებლობა;
- კლუბების გახსნა სოფლებში და კულტურული ცხოვრების გაცოცხლება;
- რუსთავის საკონცერტო დარბაზის რესტავრაცია, მისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭება;
- მაღალმთიანი რეგიონების გათვალისწინება სტრატეგიაში.

8 თებერვალი - ხობი (სამეგრელო - ზემო სვანეთი)

- მიესალმნენ დოკუმენტის შემუშავებას, ევროპის კენ სწრაფვის კონტექსტში;
- სამწუხაროა რომ პრესა არ ინტერესდება დოკუმენტით;
- კულტურის ძირითადი პრობლემაა დაფინანსება;
- კარგი იქნება, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ დააფინანსოს სპეციალური გამოცემები კულტურაზე და დაარსოს არხი კულტურა;
- საჭიროა, რომ პროცესში ჩაერთოს მეცნიერების აკადემია;
- მიესალმნენ, რომ გეგმაში არის ასახული კულტურის დაფინანსება 2.5 % - ით;
- კარგია, რომ დოკუმენტში ასახულია რეგიონებში კულტურული ცხოვრების ხელშეწყობა;
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო განსაკუთრებით უნდა ზრუნავდეს ქართულ, ქართველურ და განსაკუთრებით, მეგრულ ენაზე;
- ზუგდიდის შალვა დადიანის თეატრს უსრულდება 150 წელი, ის დანგრევის პირასაა და საჭიროებს რეაბილიტაციას;
- კარგია რტომ კულტურას ყურადღება ექცევა როგორც ეკონომიკურ განვითარების საშუალებას;
- ისაუბრეს ფოთში არსებულ ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე და აღნიშნეს რომ ძალიან ბევრი ძეგლია რომელიც ყურადღების გარეშეა დარჩენილი;
- ისაუბრა ჩხორონწყის კულტურული კერების განვითარების მნიშვნელობაზე რეგიონებში;
- დაინტერესდნენ, არის თუ არა დოკუმენტში საუბარი მეცენატობის შესახებ;
- ხაზი გაუსვეს უცხოეთიდან კოპროდუქციის მნიშვნელობას;
- ხობში დაწყებულია კულტურის სამინისტროსთან ერთად თეატრის რეაბილიტაცია;

- მოხარულები არიან, რომ დოკუმენტში ასახულია რეგიონების შეხვედრების 1 ეტაპზე აღნუშნული პრობლემები და მათი რეკომენდაციები;
- ხაზი გაუსვეს პროცესში საზოგადოების მხარდაჭერის მნიშვნელობას.

9 თებერვალი - ქობულეთი (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა)

- გამოთქვეს სურვილი და იმედს იტოვებენ, რომ შემდგომშიც ქობულეთი უმასპინძლებს მსგავს ღონისძიებებს;
- დაინტერესდნენ აპირებს თუ არა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა სამინისტრო სატელევიზიო არხის დაფუძნებას, რაც იქნება მნიშვნელოვანი;
- დაინტერესდნენ მონიტორინგის პროცესის წარმოებითა და მისი ფორმით;
- მოხარულები დარჩნენ რომ დოკუმენტში ასახულია მნიშვნელოვანი საკითხები;
- მოეწონათ დოკუმენტი, ის პასუხობს მათ საქმიანობას. მაგალითად, სტუდენტებთან ერთად ახორციელებენ, სასიმღერო ფოლკლორისა და ზეპირსიტყვაობის კვლევას და გამოსცეს წიგნად, რაც ეხმიანება სტრატეგიაში ასახულ მიზნებს.

10 თებერვალი - ოზურგეთი (გურია)

- გადაიხადეს მადლობა სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებისათვის, მასში ასახულია ისეთი საკითხები, რომლებიც მართლა პრობლემატურია, მაგრამ სასურველია პრიორიტეტად მიიჩნეულ იქნას კულტურული დანესებუილებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება, გარდა ამისა კარგი იქნებოდა, რომ შეიქმნას ჯგუფი, რომელიც იზრუნებს კრეატიული ევროპიდან თანხების მოძიებაზე;
- ისაუბრეს სამუსიკო სასწავლებლების აღდგენაზე და პედაგოგების დაბალ სახელფასო განაკვეთებზე;
- დაინტერესდნენ ოზურგეთის ისტორიული აბანოების ბედით (რას უპირებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო), არამატერიალური კულტურითა და გურული ფოლკლორით, თუ აპირებს რამეს სამინისტრო ამ მიმართულებით. ისაუბრეს არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებ, „მულტიკულტურული კაფე“, რომელიც ამავდროულად არის სოციალური საწარმო.

15 თებერვალი - საგარეჯო (კახეთი)

- დაინტერესდნენ უფასო სასწავლებლებში ხომ არ მოიაზრება სახელოვნებო აკადემია და კონსერვატორია;

- აღინიშნა რომ, პრიორიტეტების განსაზღვრის დროს კულტურა ყოველთვის დაბალ დონეზეა და უნდა იყოს გათვალისწინებული მისი ეკონომიკური სარგებელი;
- ლაგოდესის კულტურის სახლის რეაბილიტაცია 4 000 000 ლარი ჯდება და მუზეუმი არის დასამთავრებელი;
- ხდება მოძრავი კულტურის ძეგლების უკანონო გატანა და გაყიდვა რასაც უნდა მიექცეს მეტი ყურადღება;
- მაღლობა გადაიხადეს, რომ იხსნება დედოფლისწყაროს ბიბლიოთეკა, რომელიც არის სრულად რეაბილიტირებული და 80 წელი უსრულდება;
- მიაჩნით რომ, უნდა შეენწყოს ხელი ბიზნესს, რათა სექტორიდან გარკვეული ფინანსები მოხმარდეს კულტურას;
- თელავის თეატრის დირექტორმა განაცხადა რომ თელავის თეატრი წლის საუკეთესო თეატრი გახდა;
- დაინტერესდნენ იგეგმება თუ არა კულტურულ ძეგლებთან მიმართებაში არქეოლოგიური გათხრები.

16 თებერვალი - დუშეთი (მცხეთა-მთიანეთი, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია)

- დაინტერესდნენ რამე თუ კეთდება სახელოვნებო განათლების მხრივ;
- გაგრძელდება თუ არა ბიბლიოთეკების გაუჩერება;
- დღევანდელ მოცემულობაში, როდესაც კულტურის სფერო სახელმწიფოს მხრიდან, სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო არ არის პრიორიტეტული, რამდენად მალე მოხდება ამ ყველაფრის განხორციელება.

17 თებერვალი - ხაშური (შიდა ქართლი)

- დაინტერესდნენ, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რესტავრაციის საკითხით, რომელიც მთავრობის პროგრამით იყო გათვალისწინებული და არ განხორციელებულა;
- ხაშურში საკონცერტო დარბაზში არ აქვთ როიალი;
- კულტურის განვითარებაში წვლილის შეტანისას ბიზნესმენების, ბიზნესკომპანიების გადასახადებისაგან გათავისუფლება;
- მედიის მეტი ჩართულობა რეგიონების კულტურულ ცხოვრებაში;
- ქართველი კომპოზიტორების პოპულარიზაცია.

18 თებერვალი - ბორჯომი (სამცხე-ჯავახეთი)

- რომანოვების სასახლის ამოქმედების საკითხი; რამდენადაც ცნობილია, აღნიშნული სასახლე დაკვეთილია და არავის არ უშვებენ;
- რომანოვების სასახლეში მყოფი მხატვრული ნამუშევრების გამოფენის მოწყობა (ნახატები ინახება სარდაფში და ფუჭდება);
- ბორჯომ-ბაკურიანის ვიწრო ლიანდაგი რკინიგზა, უნიკალური რკინიგზაა, რომელიც გამოსულია მწყობრიდან. შემორჩენილია ერთი ვაგონი და ერთი ელმავალი, გამოხატეს სურვილი ამ ვაგონისა და ელმავალისათვის მიენიჭოს ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი;
- გამოთქვეს მოსაზრება, რომ ბორჯომიდან ბაკურიანამდე მიმავალი გზის გასწვრივ მოეწყოს ქართული დისნეილენდი, პროექტი ძვირადღირებულია მაგრამ ამავედროულად იქნებოდა შემოსავლიანი.

22 თებერვალი - ონი (რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი)

- დაინტერესდნენ კულტურის პოლიტიკის დოკუმენტით თუ არის გათვალისწინებული არქეოლოგიური გათხრების პერსპექტივები და მომავალი სამუშაოები;
- სჭირდებათ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერა ონის 3 ძირითად პრიორიტეტზე:
 1. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მშენებლობა;
 2. სამხატვრო სკოლის რეაბილიტაცია;
 3. მრავალძალის გზის რეაბილიტაცია.
- რეგიონის გამოცოცხლების მიზნით, გააუღერეს ინიციატივა ონში ფესტივალის ჩატარების შესახებ;
- ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლებში კულტურის ცენტრების ხელშეწყობა;
- სჭირდებათ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შუამდგომლობა, რომ დასრულდეს მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ტაძარი.

23 თებერვალი - ხონი (იმერეთი)

- დაინტერესდნენ, კულტურის პოლიტიკის დოკუმენტით, თუ იქნება შესაძლებელი პედაგოგების სტატუსის მინიჭება და განსაზღვრა;
- კულტურის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს თუ არა სკოლამდელი ბავშვის განათლებას;
- შეზღუდული შესაძლებლობების პირების ადაპტაციას როგორ შეუწყობს ხელს აღნიშნული დოკუმენტი;

- მოხდება თუ არა დოკუმენტის მეშვეობით ბიბლიოთეკების განვითარება;
- ოტია იოსელიანის მუზეუმისთვის სტატუსის მინიჭება;
- ტურიზმის დეპარტამენტმა მარშრუტებს დაამატა თერჯოლის მუზეუმი;
- თერჯოლაში ესაჭიროებათ სპეციალისტი, რომელიც დაეხმარება კინოთეატრის გარემონტებაში, სადაც გათვალისწინებული იქნება კინოც და თეატრიც.
- ქუთაისის მე-3 სამუსიკო სკოლის პედაგოგმა სთხოვა მინისტრს მოსწავლის თამარ მაღლაკელიძის უცხოეთში ფესტივალზე დაფინანსება.

მესტია - 24 თებერვალი (ზემო სვანეთი)

- გამოთქვეს სურვილი რომ მეტი ყურადღება მიექცეს სოფლის კლუბების ხელშეწყობასა და განვითარებას.